საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 2/13/12/11 "23" 05 2014წ.

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის

ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების უფროსს

ბატონ გურამ თავაძეს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ა.წ. 07 მაისის #07-13/707 თქვენი წერილით წარმოდგენილი საკითხების შესახებ გაცნობებთ სააგენტოს პოზიციას.

მიეცა დადებითი შეფასება:

AR1211195 09.04.14 ქ. თბილისი, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო (ნაკვ. 06/004) (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ვირსალაძის ქ. #5/ქ. თბილისი ათონელის ქ. #31) ღია კაფეს მოწყობას - ზოგადად ღია კაფეს მოწყობა დასაშვებია, ქალაქმშენებლობითი (სატრანსპორტო და ქვეითთა მოძრაობის) ნორმების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩატარების პირობით;

AR1215581 01.05.14 ქ. თბილისი, მარტყოფის შესახვევი #9ა, არსებული სახლის დემონტაჟი და ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას - დასაშვებია მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციებისა და შესაბამისი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმების გარეშე;

AR1216280 01.05.14 ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქ. #3/36, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას - გაიცეს მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციებისა და შესაბამისი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმების გარეშე;

AR1216201 თუმანიანის ჩიხი IV, #5, შენობის დროებითი გამაგრების საკითხს - მიეცეს დადებითი შეფასება. ამასთან, დაზუსტდეს გამაგრება დროებითია თუ არა;

AR1217501 05.05.14 ბარნოვის ქ. #76, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას - გაიცეს მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციებისა და შესაბამისი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ესკიზის შეთანხმების გარეშე;

სსიპ-თბილისის არქიტექტურის სამსახური
№07-13/707
27.05.2014 ფურცელი
თბილისი 0160, ზ.ბარბაშევს ქ.№7

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394
www.heritagesites.ge

AR1217269 05.05.14 ქ. თბილისი, ტყვიავის ქ. #10, მშენებლობის ნებართვას;

AR1208733 31.03.14 ქ. თბილისი, ტოვსტონოგოვის ქ. #14/წინამძღვრიშვილის ქ. #109, მშენებლობის ნებართვას;

AR1217516 05.05.14 ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. #2, ღია კაფეს მოწყობას;

AR1217707 06.05.14 ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. #63-ში, სარდაფში ჩასასვლელი კიბის, საჩრდილობლისა და მოაჯირის მოწყობის საკითხს;

უარი ეთქვას:

AR1216808 02.05.14 ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარედ, ღია კაფეს მოწყობას - ბარათაშვილის ქუჩაზე ამ მასშტაბის ხის ფიგურის თუნდაც, დროებით განთავსება მიუღებელია. მასშტაბი შეუსაბამოა ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების მიმართ;

AR1217687 06.05.14 ქ. თბილისი, რკინის რიგი (ნაკვეთი 61/018) ლიფტების მოსაწყობად მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა - პროექტი მიუღებელია, ვინაიდან ეს კონსტრუქცია უნდა განთავსდეს ძეგლის ფიზიკურ და ვიზუალურ დაცვის არეალში, რაც აკრძალულია საქართველოს კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ". ამდენად, მოსაძებნია ლიფტის ალტერნატიული ადგილმდებარეობა.

განმეორებით წარმოსადგენია:

AR1214562 24.04.14 ქ. თბილისი, სამღებროს ქ. #6-ის მიმდებარედ, ღია კაფეს მოწყობა - ზოგადად ღია კაფეს მოწყობა დასაშვებია ქალაქმშენებლობითი (სატრანსპორტო და ქვეითთა მოძრაობის) ნორმების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩატარების პირობით. სხვა შემთხვევაში ტროტუარის ნაწილი უნდა იყოს გამოთავისუფლებული ფეხით მოსიარულეთათვის.

AR1212304 14.04.14 ქ. თბილისი, გოგებაშვილის შესახვევი #2/#5-ში ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატება - წარმოსადგენია სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მატების დასაბუთებით. ამასთან, გადასამოწმებელია კოეფიციენტის გათვლების სისწორე;

AR1215084 30.04,14 ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. #11/13ა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი და მშენებლობის ნებართვა - წარმოდგენილ იქნას ფასადის ვარიანტი ისტორიულ-არქიტექტორული კვლევის რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ფასადები დამუშავდეს ეზოსთვის დამახასიათებელი სტრუქტურული სახით და არა ქუჩისთვის სახასიათო ფასადური არქიტექტურით;

AR1213015 16.04.14 ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. #23, საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (დაშენება) პროექტი და მშენებლობის ნებართვა - წარმოსადგენია: ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა; შენობის სიმაღლის სქემა; განშლა. წარმოდგენილი სახით ერკერის გადმოწევით ირღვევა ქალაქმშენებლობითი ნორმები. არქიტექტურული იერ-სახე დამუშავდეს კვლევის რეკომენდაციებისა და ტრადიციულად ჩამოყალიბებული ურბანული ქსოვილის - მნიშვნელოვანი ისტორიული უბნის გარემოს გათვალისწინებით;

AR1201727 06.03.14 ქ. თბილისი, ფოსტის შესახვევი #9, საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტი და მშენებლობის ნებართვა - ტექნიკურად გაუმართავი

პროექტია.საპროექტო დოკუმენტაცია მისაყვანია სრულყოფილებამდე - დასამუშავებელია: გადახურვის ფორმა, ტიპი, ღიობების გაბარიტები, კედლის ფაქტურა და სხვ;
AR1216366 02.05.14 ქ. თბილისი, ვ. ბერიძის ქ. #14ა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის პროექტი - განმეორებით წარმოადგინონ სამომავლოდ ასაშენებელი შენობის ესკიზური პროექტი ან ტექნიკური მონაცემები. წარმოდგენილი მწირი მასალით გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია;
AR1195099 05.02.14 ქ. თბილისი, გრიგოლ ხანძთელის ქ. #5, მანსარდის დაშენების პროექტი და მშენებლობის ნებართვა - წარმოსადგენია არქიტექტურულ-ისტორიული კვლევა დღევანდელი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებითა და რეკომენდაციებით. პროექტი გადაკეთდეს შესამუშვებელი კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით. მიუღებელია ე.წ. სამერცხულების რითმი, ღიობთა ზომა და რაოდენობა;

#07/3239-13 28.04.14 ქ. თბილისი, ავლაბარი, „ერევნის სკვერი"-ს გაშენების საკითხი (დანართი 7 ფურცელი) - ზუსტი ადგილმდებარეობის მითითების გარეშე შეუძლებელია საკითხის განხილვა.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე